გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

...ს დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ... ...დათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქ-ც... კუკიაში, აჭარლის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



გაზეთი „ივერია“ თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.



**კნეინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა შვილებითურთ** და **თავადი კონსტანტინე ივანეს ძე მელიქიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა **გენერალ-ადიუტანტის თავად ლევან ივანეს ძის მელიქიშვილისას.**

განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდახდილი იქნება ნაშუადღევის პირველსა და საღამოს 8 საათზედ ყოველ დღე. (2—2)



**კნეინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა შვილებითურთ** და **თავადი კონსტანტინე ლევანის ძე მელიქიშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გამოსვენება განსვენებულის **გენერალ-ადიუტანტის თავად ლევან ივანეს ძის მელიქიშვილის** გვამისა იქნება ხუთშაბათს, 27 თებერვალს, დილის 9 საათზე, განსვენებულის სადგომიდამ წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ეკკლესიაში წირვის გადასახდელადა და ანდერძის ასაგებად, ხოლო იქიდამ მამა-დავითის ეკკლესიაში—დასასაფლავებლად.



ტფილისის საურთიერთო ქონებათა დამზღვეველთა საზოგადოების გამგეობა აუწყებს წევრთ საზოგადოებისათ, რომ 25 თებერვლიდგან ანგარიში საზოგადოებისა 1891 წ. წიგნებისა და საბუთებითურთ გამგეობაში იქნება და დამზღვეველებს შეუძლიანთ განხილვა ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. თუ რა დღეს მოხდება საზოგადო კრება საზოგადოების წევრთა, ეს ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)



სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება აცხადებს, რომ, განკარგულებისამებრ სახელმწიფო ბანკისა, 27 თებერვალს, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, ბანკის ამ განყოფილების სადგომში მოხდება გასყიდვა მეორე საქველ-მოქმედო ლატარიის ბილეთებისა დამშეულთა სასარგებლოდ და აგრეთვე ცალკე კუპონებისაც. ბილეთი ღირს 5 მანათი, ერთი კუპონი—1 მანათი. ვინც ცალკე კუპონების ყიდვას ისურვებს და არა მთელის ბილეთისას, იმ შემთხვევაში, ვიდრე ერთის ბილეთის ყველა კუპონი არ გასაღდება, მეორე ბილეთის კუპონს არ მოსჭრიან გასასყიდად. (3—1)


ტფილისი, 24 თებერვალი

წარსულს თთვეში პრუსიის საერო განათლების მინისტრმა გრაფმა ცედლიცმა წარუდგინა განსახილველად პალატას მისგან შემუშავებული ახალი სასკოლო პროექტი. ახალის სასკოლო კანონის განხილვის დროს, სხვათა შორის, დეპუტატებმა უსაყვედურეს მინისტრსა და მთავრობას, პოლშელებს ულოლიავებთ, პოლშური ენა გერმანულთან ერთად გინდათ ასწავლოთო. მერე რაო, გაიკვირვა ცედლიცმა: მრავალი მამანი სთხოვენ საერო განათლების სამინისტროს, ნება მოგვეცით ჩვენს შვილებს კერძოდ ვასწავლოთ სამშობლო ენა სკოლის სადგურებში, რადგან სასოფლო სკოლებში პოლშურს არ ასწავლიანო. ნება დაურთველობა ყოვლად შეუძლებელია და პრაქტიკულად კიდევ ასეთ ნება-დართვას ის შედეგი უნდა მოჰყვეს, რომ მასწავლებელს უფლება უნდა მიეცეს თავისუფალს დროს სკოლის შენობაში შეეძლოს ასწავლოს ეს საგანი. სამინისტრომ შეიწყნარა მშობლების ღაღადება და ასე, ამ გვარად პრაქტიკულად დაკანონდა პოლშურის სწავლება სკოლებში. „მერე რომელი მინისტრი შეიძლებდაო, იკითხა ცედლიცმა, უარი ეთქვა მშობლებისათვის ამ გვარ თხოვნაზე? მერე ან რა კანონიერს საბუთს გამოსძებნით უარის თქმისას? ყოველს მამასა აქვს ისეთივე უფლება ასწავლოს თავისს შვილს პოლშური ენა, როგორც შეუძლიან ასწავლოს დაუბრკოლებლივ ფრანგული, ან კიდევ სანსკრიტული. ამას ხომ დიდი ლარი და ხაზი არ ეჭირვება“.

ეგეც რომ არ იყოს, რა უფლება გვაქვს, დავუშალოთ სოფლის მასწავლებელს, გინდა თუ არა თავისუფალს დროს ნურა ნაირად ნუ გამოიყენებ და, ჯამაგირს გარდა, ერთს გროშსაც ნულარ მოიპოვებო?—არაფერიო, სთქვა პასუხად თითონვე მინისტრმა.

თვით გერმანელებისათვის პოზნანში ერთი ათად სასარგებლო იქნება, პოლშურიც რომ იცოდნენო. ვაჭრობა-მრეწველობაში ის გაიმარჯვებს, ვინც უფრო მეტი იცის და ვინც უფრო ცხოვრების მოთხოვნილებას შეუფერებს თავს. პოზნანში ლაპარაკობენ ორს ენაზე—პოლშურადა და გერმანულად. პირველთ ორივე ენა იციან და უკანასკნელთ-კი—მარტო გერმანული. ამისათვის ყველაფერში პოლშელებმა აჯობეს გერმანელებს. 1840 წ. მარტო ერთი სავაჭრო ყოფილა პოლშელისა, ეხლა-კი ათასობით არის და გერმანელის სახელი აღარსადა სჩანს.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ყოველი ქარხნის პატრონი, მემამულე და ვაჭარი იმისთანა კაცს მოსძებნის თანაშემწედ, რომელმაც ორივე ენა იცის. გერმანელებმა პოზნანში ერთი ენა იციან, პოლშელებმა-კი ორი. რასაკვირველია, პოლშელები დასჩაგრავენ გერმანელებს ცხოვრებასთან ბრძოლაში და კიდეც დასჩაგრეს. პირველ ხანებში, ჩემ გუბერნატორობის დროს პოზნანში, დიდად მიკვირდა ეს საკვირველი ამბავი, მაგრამ როცა ღრმად ჩავუფიქრდი ამ საგანს, მივუხვდი ნამდვილს მიზეზს და კიდეც ვცდილობდი მომესპო მისი გავლენა და მოქმედება. ამისათვის ერთად-ერთი საშუალება იყო საჭირო, სახელდობრ ის საშუალება, რომ გერმანელებსაც შეესწავლათ პოლშური ენა, რათა ცხოვრებასთან ბრძოლაში ორივენი ერთისა და იმავე იარაღით ყოფილიყვნენ აღჭურვილნი.

პოზნანის უმაღლესს სკოლებში დიდი ხანია ასწავლიან პოლშურს ისტორიას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. ჩემის აზრითაო, სთქვა ცედლიცმა, ამ გვარი სწავლა დიდს სამსახურს ვერ გაუწევდა გერმანელ ყმაწვილ-კაცობას და ამისათვის ვცდილობდი ისე დამეწყო პოლშურის ენის სწავლება უმაღლესს სასწავლებლებში, რომ მართლა სასარგებლო ყოფილიყო. ასეთის განზრახვისათვის კინაღამ ჯვარს მაცვეს, მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლიდიო, დაასრულა თავისი საყურადღებო სიტყვა გრაფმა ცედლიცმა.

საყურადღებო ცედლიცის სიტყვებ-

# ფელეტონი

## ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი.

(შემდეგი. იხ. „ივერია“ 1891 წ. № 174)

### XV

როცა ერი გონებით დაბლა სდგას, დანაშაულიც სხვაფრივ ესმის: დანაშაულად მიაჩნია მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელსაც რაიმე ზარალი მოაქვს. ყურადღებას არ აქცევს დამნაშავის ბოროტს წადილს, თუმცა ეს უკანასკნელი შინაგანი ბუნებაა დანაშაულისა. ოღონდ-კი ზარალი ნურავის მოუვა, ბოროტი წადილი არაფერია და სასჯელის ღირსი არ არისო,—ასე ბჭობს გონება დახშული საზოგადოება. ამ მიმართულებას ადგა ძველ ევროპიელთ სისხლის სამართალიც. გერმანელებსა, კელტებსა და ფრანგებს ეგონათ, რომ დანაშაული მარტო თვალთ სახილველი მავნებელი საქმეაო და ამიტომ პირუტყვსაც ისე სჯიდნენ, როგორც ადამიანს [284]). ეხლაც ჩვენი მთიელნი და საზოგადოდ კავკასიონის მკვიდრნი ვერ ასცილებიან ამ ცრუ და ლატაკს აზრს. განვითარება და წარმატება იურიდიულ მხედველობას სცვლის და დანაშაულსაც სხვა ხასიათსა სდებს,—ბოროტი აზრი ჰქმნის დანაშაულსა და იმასაც უნდა მიექციოს ყურადღება და არა მარტო ზარალსა, და ზიანსაო. რაც მეტი დრო და ჟამი გადის, დამნაშავეს უფრო ბოროტის აზრისა და განძრახვის მიხედვით უჩენენ სასჯელსა და სწორედ ესაა დამნაშავის ისტორიული თავ-გადასავალიც [285]). დანაშაულს სხვა ცვლილებაც გამოუვლია. პირველ ხანს, როცა ერს სახელმწიფო გამგეობა არ მოეპოვება და საგვარეულოდ სცხოვრობს, დანაშაულსაც კერძო მნიშვნელობა აქვს, დანაშაული ნაწყენმა და იმის გვარმა უნდა ინაღვლოს, ერი არაფერ შუაშია და არც რა ეკითხვისო. ასე ყოფილა წინაპირველად თვით რომში [286]), ასეა ეხლაც ყველგან, სადაც ხალხი პოლიტიკურად განუვითარებელია და სახელმწიფო წყობილებას მოკლებული.

როგორ იყო საათაბაგოში და რა თავ-გადასავალი ჰქონია დანაშაულს?—აღბუღას სამართალი ადგენს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს იმისდა გვარადაც, თუ რამდენად ბოროტი აზრი გამოიხატა იმის მოქმედებაში ❘ მარტო ზარალის მიხედვით არ უნდა მიეწყოს სამაგიეროო. ამას გარდა, იგივე სამართალი ამბობს, თუ ყველა არა, ზოგიერთი დანაშაული მაინც საზოგადო ბოროტებაა და საათაბაგოს პატრონმა უნდა სდევნოს და განსაჯოსო. მაშასადამე, საათაბაგოშიაც დანაშაულის მსვლელობა ისეთივე ყოფილა, როგორსაც სამართლის ისტორია აღნიშნავს. რა დანაშაულს აღწერს აღბუღა?—რასაკვირველია, მრავალს. ჩვენ მოკვლიდგან დავიწყებთ.

მოკვლა მძიმე დანაშაულია. მაგრამ საათაბაგოში მოკვლას სხვა მნიშვნელობაცა ჰქონდა—იგი მოკლულის ღირსების საზღაო იყო, რადგანაც დანაშაული „ზემო-ქვემოებაზე“ დაფუძნდა: „კაცი ვითარცა გვარად იყოს, აგრე ზემო-ქვემოებით უზღოს... დიდებულსა ორმოცი ათასი, შედევსა ოცი ათასი, უქვედესთა თორმეტი ათასი, ვითარცა ღირს იყვნენო“ (მუხ. კთ). საქმე კიდევ ისაა, რომ სისხლის დაურვებაც მოკვლისაგან წარმოსდგა. თავდაპირველად, როცა შურიძიება მძვინვარებდა, მკვლელი მიუცილებლად უნდა მოეკლათ და შემდეგ-კი დააწესეს, დამნაშავეს ამოდენი გარდახდესო [287]). მერე ეს სისხლის საზღაო ყველა დანაშაულისათვის დაიდო და იქ, სადაც „ზემო-ქვემოება“ დაარსდა, საზღაო მეტნაკლები შეიქნა. მაგ., რუსთა ძველი სამართალი—„Русская Правда“ ამბობს, მოკვლის სისხლი სხვა-და-სხვაა, княжъ мужъ-ს დაეურვოს 80 гривенъ-ი, უქვედესსა ხუთი ანუ ექვსიო [288]). ასეთს უთანასწორო საზღაოს ჰხმარობს ფრანგების Lex Salica [289]) და სხ.

ეს საზღაო დანაშაულის გარეგანი სახეა და მოკლულის ვინაობას უჩვენებს. ხოლო მოკვლას საკუთარი შინაგანი თვისებაცა აქვს. ეს თვისება კაცის ბოროტი წადილია. სულ ერთი არაა, მაგ., განგებ და უსაბედოდ ვისიმე მოკვლა. ძველი სამართალი-კი ამას არაფერს დაგიდევდა და არიელთა მოდგმის თითოეული ერი სწორედ ამ აზრისა იყო [290]). რასაკვირველია, შემდეგ სხვაფრივ მოხდა: ევროპიელთა სამართალში განმარტებულია, რა მიზეზისა და გარემოების გამო შეიძლება ერთი და იგივე დანაშაული მძიმეც იყოს და მსუბუქიც, მოხსენებულია—რას ნიშნავს განგებ და უსაბედოდ მოკვლა და სხ. [291]). ეს კიდევ არაფერი,—გერმანელებისა და ფრანგების სამართალი ადგენს, მარტო მოკვლა-კი არა, „სიკვდილის ცდაც“ დანაშაულიაო [292]). საათაბაგოშიაც დანაშაულის ცვალებადი მსვლელობა ისეთივე ყოფილა, როგორიც საზოგადოდ ევროპაში იყო. აღბუღას სამართალი როდი სჯერდება დანაშაულით ჩადენილს ზიანსა, არა—დამნაშავის სულის ვითარება, ბოროტი განზრახვაც საჭიროა სათანადო სასჯელის მისაყენებლადაო. ათაბაგი აღნიშნავს სხვა-და-სხვა მოკვლას და დაასკვნის, ისეთი მოკვლა უფრო მძიმეა, რომლითაც მკვლელმა მეტი სულიერი და ზნეობრივი სიდუხჭირე გამოიჩინა, ბოროტი აზრი და სიავე გამოაშკარავაო. მსგავსად ევროპიელთა ძველ სამართლისა, აღბუღასაც სიკვდილის ცდა დანაშაულად მიაჩნია—„სიკვდილისა ცდისათვის სამი ათასი შეეყრების ცოდვისათვისო“ (მუხ. რლე).

რაკი საათაბაგოში იურიდიული აზრი იმდენად მაღლა იდგა, რომ დანაშაულის ბუნება და თვისება შემჩნეულ იქმნა, საჭირო იყო ამ ბუნებისა და თვისების აღნიშვნა კერძოდ განმარტებულიყო. თუ დანაშაულში პირველი მნიშვნელობა დამნაშავის სულის მდგომარეობასა აქვს, მაშ სხვა-და-სხვა შემთხვევისათვის იგი მდგომარეობა უნდა აღენიშნა სამართალს. ასე მომხდარა სხვაგანაც. ძველ გერმანელთა სამართალი და რუსთა Правда ამბობდა, ჯერ უნდა გაისინჯოს, რამ აიძულა დამნაშავე ბოროტის ქმნად, საბაბი ჰქონდა თუ არა, სულით აღშფოთებულმა თუ დამშვი-

[284]) Совр. Об. и Др. Зак., II, 97—105.

[285]) *ibid.*, 79—82.

[286]) Карлъ Майнцъ, 31—2, 98.

[287]) იაროსლავის Правда ამბობდა, მოკვლისათვის მოკვლა გამიჩენიაო, ხოლო მის შვილებმა „отложиша убіеніе за голову“, Калачевъ, 29—30, 151—2, 180.

[288]) *ib.*, 180—2.

[289]) Беко, 140—1,

[290]) Совр. Об. и Др. Зак., II., 96—100.

[291]) *ibid.* 82—3.

[292]) Русская Правда სიკვდილის ცდას დანაშაულად არა სცნობს, Калачевъ, 87.

ში ისაა, რომ „დიდი ხანია“, რაც პოზნანის უმაღლესს სკოლებში პოლშურს ენას ასწავლიანო, მაშასადამე, თ. ბისმარკის დროსაც, და ამ გარემოებას ადგილობრივი ადმინისტრაცია, არამც თუ ხელს არ უშლიდა, არამედ კიდეც სცდილობდა უფრო უკეთესად შეესწავლათ ეს საგანი თვით გერმანელ ყმაწვილებსაც. რა თქმა უნდა, პრუსიის მთავრობა ცნობილია, როგორც შეუპოვარი და მტკიცე მიმდევარი ერთხელვე აჩემებულის აზრისა, და არც უყვარს გულ-ჩვილობის გამოჩენა, როდესაც სცდილობს რაიმე საწადელი აისრულოს, მაგრამ, როგორც სჩანს ზემოდ მოყვანილიდგან, პრუსიის მთავრობას არასოდეს უარი არ უყვია სხვისი კაცობრიული უფლება, ძალა არ დაუტანებია პოლშელებისთვის, დაივიწყეთ თქვენი სამშობლო ენაო. ამ გვარს წეს-წყობილებას კიდევ ის შედეგი მოსდევს, რომ თვით პოლშელები ეტანებიან გერმანულის ენის შესწავლასა და კულტურის შეთვისებას, რასაც იმათთვის, როგორც ზემოდ დავინახეთ, დიდი სარგებლობა მოაქვს. ასეთი ურთიერთობა ამშვიდებს ორსავე ერს. ამისთანა შემთხვევაში ბოროტებას, მძულვარებასა და გულში ჩახვეულს სიბრაზეს ადგილი აღარა აქვს ორის ერის ურთიერთობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში-კი სულ სხვასა ვხედავთ. პოლშის საუკეთესო პატრიოტები აღარა ჰმალავენ და საქვეყნოდ აცხადებენ თავიანთს ერთგულებას გერმანიისა და იმის მთავრობის მიმართ.

ასეთს ურთიერთობას სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ტომს შორის ყველა მთავრობა ვერ დაიკვეხებს ევროპაში და სწორეთ ეს არის, ჩვენის აზრით, მათი სისუსტე და მათი სენი, რომელსაც, რაც მალე მოიშორებენ თავიდგან, მით უფრო კარგი იქნება თვით მათთვისვე.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

⁂ განსვენებულის თ. ლევან ივანეს ძის მელიქიშვილის მეუღლეს შემდეგი დეპეშები მიუღია: ხელმწიფე იმპერატორისაგან: „გულითადის მწუხარებით შევიტყე რა ამბავი გარდაცვალებისა თქვენის უძვირფასესისა მეუღლისა, რომელიც გვიყვარდა და პატივსა ვცემდით როგორც გულადს მეომარსა და პატიოსანსა, კეთილსა და კეთილშობილსა კაცსა, ვევედრებით უფალსა, მან განუგეშოთ და აგატანინოთ თქვენი მწუხარება.

ალექსანდრე“.

დეპეშა დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძისაგან: „გულით განვიზიარებ თქვენსა მწუხარებასა. დიდად ვწუხვარ, რომ ამიერიდგან ველარ ვიხილავ პატივცემულს ლევან ივანეს ძეს. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

მიხეილი“.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილების სესსია მარტის თთვეში აპირებს გამგზავრებას ჯერ ახალციხესა და შემდეგ ახალქალაქში. ოლქის სასამართლოს სესსია ახალციხეში გაატარებს 3 მარტიდგან 13 მარტამდე, შემდეგ ახალქალაქში ცადავა და აქაც საქმეებს გააარჩევს 21 მარტიდგან 1 აპრილამდე. სესსიას სულ ოც-დათხუთმეტი საქმე აქვს გასარჩევი. ახალციხეში 13 მარტს ფრიად შესანიშნავი საქმე აქვს დანიშნული ოლქის სასამართლოს განყოფილებას ადგილობრივს „კომანდასა“ და ახალციხეში მცხოვრებ სომეხთა შორის ატეხილ ჩხუბის გამო. ამ საქმისათვის 6 კაცია სამართალში მიცემული და ასამდე მოწმეა გამოწვეული. მეორე საყურადღებო საქმე კიდევ ახალქალაქშია დანიშნული. სამართალში არიან მიცემულნი ორნი ძმანი ოგულაშვილები, რომელნიც აზ. მიხეილ მუსხელიშვილთან ყოფილან მოსამსახურედ და ნაკუწ-ნაკუწად აუკაფიათ თავისი ბატონი. სესსიაში მიდიან სასამართლოს წევრნი ა. ვ. იაკიმოვი და ე. ვ. ჩემესოვი. მესამე წევრად დანიშნულია ადგილობრივის ბრალმდებელის ამხანაგი რიბინი.

⁂ გუშინ ტფილისში დეპეშით ამბავი მოვიდა თეირანიდგან, რომ მის უდიდებულესობისს ნასრედინ შაჰის მემკვიდრის მოკვლა სდომებიათ და ვიღაცა ბოროტ-გამზრახველს უსროლია დამბაჩა. მემკვიდრე პრინც მუსაფერ-ედდინ-მირზას ტყვია ასცდენია. ბოროტ-გამზრახველი გაქცეულა.

⁂ განსვენებულ გენერალ-ადიუტანტ თავ. ლევან ივანეს ძის მელიქიშვილის პირველს პანაშვიდზედ, კვირას, ამ თთვის 23, დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერლობა და მრავალნი სხვანიც. განსვენებულის თავ. ლ. ი—ძე მელიქიშვილის დასაფლავებას ხუთშაბათს აპირობენ.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ ალ. ხახანაშვილისათვის, რომელსაც ქართულის ჟურნალის ბეჭდვა უნდოდა მოსკოვში, ბეჭდვის საქმეთა მთავარსამმართველოს უარი უთქვამს და ჟურნალის ბეჭდვის ნება არ მიუცია.

⁂ გუშინ-წინ, კვირას, საღამოს ხუთს საათზედ კინაღამ, კიდევ 6 იანვარისებური უბედურება არ დატრიალდა ტფილისში. ვერის ხიდიდგან ნავით 8 კაცი მოდიოდა ქვემოდ. გამოქანებული ნავი კუკიის ხიდს ზემოდგან არჩიკაძეს წისქვილის ნავს დაეჯახა და გადიშალა—8 კაცი წყალში ჩაცვივდა და შეიქნა ერთი წივილ-კივილი. მთელი კუკიის ხიდი ხალხით გაიჭედა. თუმცა გადაცვივნულთ ცურაობა იცოდნენ, მაგრამ ტანისამოსიანები რომ იყვნენ, ის უძნელებდათ საქმეს. 6 კაცი რის ვაი-ვაგლახითა და წვალებით იქვე ახლოს გამოვიდნენ ნაპირას, მაგრამ ორი-კი მოიტაცა მტკვარმა და წამოიღო. ამ ორთაგანი ერთი 15 წლის ყმაწვილი იყო, მეორეს ზამთრის ტყავი ეცვა ტანზე და ის უძნელებდა ხელების მოძრაობას. ბოლოს ეს ტყავიანი დოლანოვის წისქვილის ჩარხმა ჩაითრია. მაგრამ დახეთ იმის მოსაზრებასა და გონების მოკრებას, ჩარხის ფიცრისთვის ხელები მოევლო და როცა ჩარხი გადმობრუნდა, კაციც ზემოდ ამოიტანა. იმანაც იდროვა და წისქვილის ნავზე გადახტა. მეორეს—15 წლის ყმაწვილს სარი მიაწოდეს ნავიდგანვე და ისე აიყვანეს წისქვილის ნავზე.

⁂ იმავე დღეს, ღამის პირველს საათზე, შემდეგი უბედურება მოხდა კუკიის ხიდის მახლობლადვე. ახალს აზიურს ბუფეტში ორს სუფრად ვახშამსა სჭამდნენ. ერთს სუფრაზე იყვნენ ტფილისის სხვა-და-სხვა დაწესებულების მოხელენი, ხოლო მეორეზე-კი ს. ყაზბეგი და ვლ. ავალიანი. სხვა-და-სხვა სუფრაზე მსხდარნი ერთი-ერთმანეთის ნაცნობნი აღმოჩნდნენ. დაიწყეს შორიდგან ხუმრობა. ხუმრობას წყენა მოჰყვა, წყენას სილა და ამას-კი ხანჯლის ტრიალი. ჩააქრეს მოჩხუბრებმა ბუფეტში სანთლები, რადგან უიარაღოებმა შანდლები ესროლეს იარაღიანებს, და ისე დაერივნენ ერთმანეთს. ბოლოს, რაკი სისხლი დაიღვარა, მოჩხუბარნი გაზავდნენ. დამჭრელები მიიმალნენ. დაჭრილები სამნი, ორი მოხელე და მესამე ტფილისის მოქალაქე ქიტიაშვილი, ქუჩაზე ამოვიდნენ და ყვირილი მორთეს. სისხლი თქრიალით გასდიოდათ. ყვირილზედ მსწრაფლ მოიჭრა მეცხრე ნაწილის პოლიციის მოხელე ივანე ბაბალოვი ორის პოლიციელით და დაჭრილები მაშინვე ტფილის მიხეილის ქსენონში წაიყვანა. ექიმმა მოჰბანა სისხლი ყველას და ჭრილობანი შეუხვია სამივეს. მძიმედ და საშიშად დაჭრილი—აღმოჩნდა მხოლოდ ქიტიაშვილი, მარცხენა ფერდსა, ხელსა და თავში. დანარჩენს ორს მხოლოდ ხელები ჰქონდათ საშინლად დასერილები. ქიტიაშვილი ქსენონში დასტოვეს, რაკი იმისს სახლში წაყვანა საშიში იყო, და ორნი-კი ხელებ-შეხვეულები შინ გაისტუმრეს. პოლიციის მოხელემ ბ-ნმა ივ. ბაბალოვმა ამას შემდეგ შესაფერი ოქმი დასწერა, მოწმეებს პირველი ჩვენება ჩამოართვა და ახლა დამჭრელების—ს. ყაზბეგს და ვლ. ავალიანის შეპყრობის საქმეს შეუდგა. დაუსინჯა ორსავეს სახლი, მაგრამ არც ერთი მათგანი შინ არ აღმოჩნდა. რაკი ბევრის ძებნის შემდეგ ვერ მოიხელა დამნაშავენი, ბ-ნმა ბაბალოვმა ჯეროვანი განკარგულება მიახდინა და თითონაც ფიცხლად დაეძებს ავალიანსა და ყაზბეგს.

გუშინ საღამოს ორივე დამნაშავენი პოლიციამ დააპატიმრა.

⁂ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში გადამდები სენი ხუნაგი გაჩნდა. ყველაზედ წინ ხუნაგი შეჰხვდა მოწაფეს, გვარად კეზელს, რომელიც მაშინვე სასწავლებლის უფროსმა საქალაქო ქსენონში გაჰგზავნა. მორჩა კეზელი და კვლავ სასწავლებელში დაბრუნდა. იმისი მოსვლა იყო და იმავე სენით სამნი გახდნენ ავად ორის დღის განმავლობაში, სახელდობრ: აგიაძე, ბოგატირევი და ასათიანი.

⁂ დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის მკურნალთა საზოგადოების

---

დებულმა ჩაიდინა დანაშაული, და მერე სასჯელი დაედოს გარემოებისა და სულის მდგომარეობის განხილვის მიხედვითაო[293]). ამ მთავარ აზრისაა საათაბაგოს სამართალიცა. აღბუღა აღწერს ეგრედ წოდებულს შუად მოსრულობას და შუად მოსრულის მოკვლას იხსენიებს. შუად მოსრულს აწინდებურად ჰქვიან მოჩხუბართა ანუ „მეომართა“ გამშველებელი და იმ დროს ჩხუბი, „ომი“, და შუად მოსრულობა ჩვეულება ყოფილა. სამართლის სიტყვით, შუად მოსრული შეიძლება იყოს მარტო „ერისგანი“ კი არა, არამედ მონოზანი და ხუცის დიაციცა. თუ ვინმე ჩხუბში ასეთს შუად მოსრულს მოჰკლავდა, ორკეცი სისხლი უნდა დაეურვა, მაგრამ შუად მოსრული „თუ მეომარი ყოფილიყოს, მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდახდეს ისრე, ვითა ძაღლის ყეფა“ (მუხ. იზ), ე. ი. თუ შუად მოსრულმა, გაშველების მაგიერ, ჩხუბი დაიწყო და მოკლეს, არაფერი დაეურვოს-რაო. რად?—მოვალეობა უარ-ჰყო და გულ-აღშფოთების გამო ჩხუბში მოკლეს, ვითარცა მოჩხუბარიო. აი სხვა მაგალითიც, რომელიც ათაბაგმა ბიზანტიის სჯულიდგან გადმოიღო. ბიზანტიის სჯული აწესებდა, ავაზაკისა და ღამე მპარავის მკვლელს სისხლი არ გარდახდებისო[294]). საათაბაგოს სამართალიც აჩენს: „მეკობრისა *) და ზედა დამსხმელისა სისხლი არ არის“ (მუხ. რლთ), „ვინცა მეკობრე, მეჯურმუცე **) და მპარავი კაცი მოკლას... ვინც მისმან ნათესავმან და საშუალთა სისხლი იკითხონ, კრულ და შეჩვენებულ და წყეულ იყავნო“ (მუხ. რჲე). ცხადია, თუ რად არ უნდა იკითხონ სისხლი—მეკობრეს, მეჯურმუცეს და მპარავს კაცი შესანდობელ საბაბის გამო ჰკლავსო. რასაკვირველია, მოკვლა შეიძლება დამნაშავემ მოიქმედოს სხვა-და-სხვა მიზეზის გამო და ერთს ბოროტებას ზედ მეორეც დაურთოს. ეს გარემოება აორკეცებს თვით მოკვლას. მაგ., შესაძლოა მკვლელს აზრად გაძარცვაცა ჰქონდეს და თუ ასეთი დანაშაული ჰქმნა, უფრო სასტიკად უნდა დაისაჯოს, ვიდრე უანგარო მკვლელი. ძველად ამ გარემოებას ყურადღებას აქცევდნენ და საბუთად კელტებისა და ირლანდიელების სამართლის დასახელებაც საკმაოა[295]). არც აღბუღა სტოვებს უყურადღებოდ ორკეცს დანაშაულს და აღიარებს, გაძარცვასა შიგან მოკვლისათვის ერთი-ორად უნდა გარდახდეს დამნაშავესაო—„თუ ვაჭარსა, გზას მიმავალსა ან მამავალსა, საქონლის ნდომისათვის კაცი დახვდეს... და თუ გაძარცვასა შიგან კიდეც მოკლას ვაჭარივე, ორკეცი სისხლი უზღოს“, ორკეც გაძარცულ საქონლის გარდაო (მუხ. ჟჱ). ესევე უნდა ითქვას ზედ-დასხმაზედაც. ზედ-დასხმა განცალკევებული დანაშაულია და საკუთარი დაურვება აქვს დანიშნული. მაგრამ უკეთუ ზედ-დასხმას მოკვლაც მიემატა, მაშინ დანაშაული ორკეცდება—„თუ კიდეცა იგივე მოკვდეს, რომელსა დაესხა, ორკეცი სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. იგ). ეხლაც ყველა განათლებულ ერის სამართალი ადგენს, რომ დანაშაულის განსჯაზე გავლენა აქვს კვალიფიკაციას. ჩვენ დროსაც ცალიერი მოკვლა და გაძარცვის მიხედვით მოკვლა ერთი და იგივე არ არის. მაგრამ აქ ღირსშესანიშნავი ისაა, რომ საათაბაგოს სამართალს ძველი კვალი აჩნევია და ეს კვალი კიდევ ცხადად ამტკიცებს—საიდგან და როგორ წარმოსდგა აწინდელი საზოგადო კვალიფიკაცია (квалификація преступленія), ერთისა და იმასავე დანაშაულის უთლრესობა. საქმე ისაა, რომ პირვანდელ დროს, როცა ერი საგვარეულო წესს ადგია, დამნაშავეს ზარალისა და ზიანის კვალობაზე ახდევინებენ სასჯელს—საჭიროა საცნობლად, რა და რა უბედურება, რამდენი ზარალი და ზიანი მიაყენა დამნაშავემ თავის მსხვერპლსაო[296]). იმ დროს სასჯელი არითმეტიკული ანგარიშია, თუ ასე შეიძლება ითქვას, და ეს იმიტომ, რომ ერთი დანაშაული მეორისაგან ნაკლებად განსხვავებულია, ერთი დანაშაული მეორეშია მოთავსებული. შემდეგ საქმე სხვაფრივ ტრიალდება: ერი აკვირდება დანაშაულის შინაგანსა და გარეგანს სახესა და რთულს ბოროტებაში სხვა-და-სხვა ცალკე დანაშაულსა ჰხედავს. ამისდა გვარად დაურვებაც იცვლება და ორს დანაშაულს, ერთად ჩადენილს, ორკეცს მსჯავრსა სდებს. აქა აქვს დასაწყისი აწინდელს კვალიფიკაციას...

აღბუღას სამართლით, მოკვლა კიდევ იმითია საყურადღებო, რომ ცნება ამ დანაშაულისა ძველსა და ახალს აზრს შუა სდგას და განურკვეველს გზას მისდევს. თუმცა მოკვლის გასასჯელად ზიანი უნდა ვიქონიოთ საწყაოდ, მაგრამ ბოროტს განძრახვასაც თავისი საწყაო აქვსო. უკანასკნელი საწყაო კიდეც სჭარბობს პირველსა,—ეგრედ წოდებულს განგებულებას (умыселъ), ამ დანაშაულის შემომქმედს ძალას, უმთავრესი ყურადღება აქვს მიპყრობილი და ეს ხომ ცნების განვითარებასა ნიშნავს. რაც მეტს განგებულებას გამოიჩენდა მკვლელი, იმდენად უფრო დიდს სასჯელს სდებდნენ. ასე იყო, მაგ., უმზრახისა და მოღალატე მკვლელის საქმე. უმზრახობა მტრობას მოასწავებდა და მტერი ხომ ბოროტებას არ დაიშურებს მოწინააღმდეგისათვის, იგი ხომ აღჭურვილია ბოროტის განგებულებით მოქიშპეს წინაშე. ათაბაგი აღნიშნავს უმზრახის მოკვლას, რომელიც იმ დროს თავისებური დანაშაული ყოფილა და, რადგანაც ასეთს მოკვლაში პირველი ადგილი განგებულებას უჭირავს, მკვლელს ორკეცს სისხლს უჩენს. შეიძლებაო, მოგვითხრობს აღბუღა, „კაცნი საპატიონი, გინა ქვემონი, უმზრახნი გზად წინ შეემთხვივნენ და გარინდეს გზა იგი“... თუ ერთმა გზას აუქცია და მეორემ მაინც მოკლა, „ორკეცი სისხლი დაუურვოსო“. ცხადია, რად: უმზრახს ღრმად დამარხული აქვს მძლავრი ბოროტი წადილი, შებოჭილია ბოროტის განგებულებით და, თუმცა მოქიშპე მოერიდა, მაინც მძვინვარე ბოროტებამ თავისი არ დაიშალაო... „და თუ არა რომელმან გარინდეს და შემთხვევითა რომელმან მოკლას .. ერთი სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. ლთ). აქაც ფსიხოლოგიური და იურიდიული საბუთი აშკარაა. ორი მტერი ერთმანეთს შეხვდნენ და გზა არ აუქციეს. ერთმა მეორე შემთხვევით მოკლა. რასაკვირველია, სულის აღშფოთება და შემთხვევა პატივსადები მიზეზია და მკვლელსაც ცოტა უნდა გარდახდეს.

სამართალი მოწმობს, რომ საათაბაგოში ღალატი, ღალატით მოკვლა ხშირი და მძიმე დანაშაული ყოფილა. შავი და ბნელი დრო ხელს უწყობდა ამ დანაშაულს და თითქო კიდეც აღფრთოვანებდა. მთელს ერში ფესვი გაედგა ამ შემაძრწუნებელს ბოროტებას, რომელსაც მედგრად ებრ-

293) Совр. Об. и Др. Зак. II. 85—7.

294) Зак. и Об. на Кав. I. 130.

*) მეკობრე—მტაცებელია, ს. ს. ორბელიანი.

**) რუსულად—разбойникъ.

295) Совр. Об. и Др. Зак. II. 87—9.

296) Зак. и Об. на Кав. II. 262.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო კრება დანიშნული. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** კვირას, 23 თებერვალს, დილის 11 საათზედ, „არტისტულ საზოგადოების“ დარბაზში კოჯორის საბჭოს ხმოსნებად ამორჩეულ იქმნენ: ი. დ. როტინოვი, მკურნალი მალინინი, ლ. ა. თაიროვი, მირზა ახუნდოვი, ინჟინერი ორლოვსკი, მარქაროვი, მკურნალი ხალათოვი, მ. თ. ფრიდონოვი, მ. ი. მირზოევი და ვ. კ. ვეტცელი. კვირას, 1 მარტს, იქნება არჩევანი კოჯორის მოურავისა.

*** სადგურ ქობულეთსა და ჩაქვს შუა მიწის ზვავი ჩამოწვა, რკინის გზის ლიანდაგი დაჰფარა და ტელეგრაფის ბოძი გადააქცია.

*** ბ-ნ თავართქილაძის სტამბა ოზურგეთში შესდგომია მოთხრობა „სიმონა“-ს ცალკე წიგნად დაბეჭდვას. ეს მოთხრობა ახალგაზდა ბელეტრისტის ბ-ნ ნინოშვილისაა და, როგორც ჩვენს მკითხველებსაც ეხსომებათ, ამ ერთის თვის წინად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში ფელეტონებად.

*** დ. ცხინვალი: დროებითი ხიდი, რომელიც არის გადებული დიდ-ლიახვზედ, დღე-დღეზედ ჰლამობს ჩაწოლას. მოაჯირი მთლად შემოეგლიჯა, თითონაც ფამფალი გაუდის, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლის, გააქვს და გამოაქვს შეშით დატვირთული მარხილები. ამ წინაზედ ერთს გლეხკაცს გადაუვარდა ხიდიდგან წყალში ხარი, რომელსაც გვერდი გამოშვერილს ლურსმანზედ ჩამოეკრა და სულ ერთიანად ჩამოეგლიჯა. საჭიროა ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, ამ გარემოებას სხვა საზარელის უბედურების ასაცდენად.

*** ოქიდამკე: შაბათს, 15 თებერვალს, წარმოდგენა ჰქონდათ აქაურ მომავალ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. წარმოადგინეს „ბედნიერი დღე“ კომედია და ვოდევილი „პარიკმახერისას“. პირველმა ვერაფრად ჩაიარა, რადგანაც აქაურებისთვის მოსაწყენი პიესი იყო, ხოლო მეორემ ცოტაოდნად გაამხიარულა საზოგადოება. შემოსავალი, ხარჯს გარდა, დარჩა 50 მანეთამდე.

*** სოფ. კნოლე (გორის მაზრა): აგერ ეს ორი წელიწადი შესრულდა, რაც თთ. ფალავანდიშვილებმა დააარსეს ჩვენს სოფელში სატყეო კანტორა, რომელიც განაგებს იმათ საერთო ტყის საქმეებს. კანტორის წყალობით ეს საქმეები ეხლა ბევრად უკეთ და წესიერად მიდის, ვიდრე მაშინ, როცა კანტორა არა არსებობდა. ყოველ გვარ სხვა უწესოებას გარდა, წინად მოიჯარადრენი ფასსაც ნაკლებს იძლეოდნენ ტყეში და ფალავანდიშვილებსაც მცირე სარგებლობა ჰქონდათ ტყიდგან. თითო შპალი იყიდებოდა 25 კაპ., ახლა-კი შაურითა და ორის შაურით მეტად იყიდება. ამ დღეებში, მაგალითად, იყო დანიშნული ვაჭრობა, მსურველნი ტყის იჯარით აღებისა ორნი იყვნენ. ერთმა შეაძლია კანტორას თითო შპალში 32 კაპ., ხოლო მეორემ ამაზე მეტი და, რასაკვირველია, იჯარაც ამ მეორეს დარჩა. ფალავანდიშვილებში ზოგიერთს მაინც დღესაც არა სწამს, რომ კანტორა სასარგებლო დაწესებულება იყოს, იქნება იმიტომ-რომ კერძოდ იმათ უფრო მეტი გამორჩენა ჰქონდათ მაშინ ტყიდგან. საერთოდ ფალავანდიშვილებისათვის-კი კანტორის არსებობა დიდად სასარგებლო საქმეა ჯერ დღესვე და, იმედია, თანდათან, როცა კარგად მოეწყობა კანტორა, უფრო სასარგებლო იქნება.

*** სოფ. ველის-ციხე (სიღნაღის მაზრა): ამბოლოს დროს, ცოტა არ იყოს, ქურდობა გახშირდა ჩვენში. 15 თებერვალს ცხენი მოიპარეს. მეორე დღეს გაჰქურდეს ბაზრის პირში ერთის საწყალის ხარაზის დუქანი. შემდეგ გაჰქურდეს კიდევ ბაზარში მეწვრილმანე ალვანიაშვილის დუქანი. დამნაშავენი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

*** ს. მაკვანეთი (ოზურგეთის მაზრა): 15 თებერვალს პირველად გამართეს აქ, ბ-ნ კ. გვარამაძის თაოსნობით, ქართული წარმოდგენა, რომლის შემოსავალი იყო დანიშნული მომავალ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გურიაში. წარმოდგენაში სასოფლო სკოლის შეგირდებიც იღებდნენ მონაწილეობას. შეგირდები უფრო ლექსებსა კითხულობდნენ. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. ავდარს ხელი რომ არ შეეშალა, სკოლის დარბაზში ტევა არ იქნებოდა ხალხისა. წმინდა შემოსავალი დარჩა 11 მანეთი.

—

შეცდომის გასწორება: კვირის ნომერში მეოთხე სტრიქონი მეთაურის წერილისა, სტამბის შეცდომის გამო, მოექცა ფელეტონის მეორე სვეტის მეცამეტე სტრიქონად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გურია**. რაც უნდა საქმე და არა საქმე აიღოთ ჩვენში, ხომ არ შეიძლება, რომ ყოველივე საჩივრად და საკინკლაოდ არ გახდეს და ვიდრე ბოლო მოეღებოდეს, თავის საღირალზე ათჯერ და ოცჯერ მეტი არ მიიკრას!.. ასეთი საჩივარი და დავიდარაბა იმდენად უფრო გამწვავდება და გაცხარდება, რამდენადაც თავად-აზნაურობა მეტი ურევია შიგ. აი, თუნდ საადგილ-მამულო გარდასახადის საქმე ავიღოთ. სულ რაღაც ხუთიოდე წელიწადი იქნება, რაც ეს გარდასახადი ჩვენში შემოიღეს, და წარმოიდგინეთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ოც-და-ცხრამეტჯერ მეტი გააწერეს, მაგრამ აურზაურსა და ალიაქოთს ბოლო მაინც არ ეღება. ამოირჩევენ კაცებს, შეადგენენ კომისიას, გააწერენ გარდასახადს, გზავნიან გაწერის ფურცელს, სადაც ჯერ არს, და მეორე კვირას ვხედავთ, რომ გაწერის ფურცელთან ერთად აუარებელი საჩივარი წასულა გაწერის უკანონოდ წარმოებაზედ და სახელ-მეოროდ გამხდარა. თქვენ სხვა რამ სიკეთე მოგვთხოვეთ, თორემ საჩივრის მჯღაბნელნი და კანონების უკუღმართად მცოდნენი და უკუღმართადვე მომხმარებელნი ჩვენში ბევრნი არიან და სწორედ იმათი წყალობითაა, რომ ეს საქმე დღემდე დაუსრულებელია.

საქმე იმაშია, რომ თავად-აზნაურობა ამ ბოლო მოუღებელ საქმის გამო ორს ბანაკადაა გაყოფილი (ზოგი მესამე ბანაკსაც ასახელებს). პირველს ბანაკში კენჭოსნებია თავ-შეფარებული, ე. ი. ისინი, ვისაც წინამძღოლთა არჩევანში ხმა აქვთ; ხოლო მეორე ბანაკი არა-კენჭოსნებს გაუმაგრებიათ და არის ერთი ბრძოლა და ვაი-უშველებელი. არა-კენჭოსნები ეუბნებიან, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უჩივიან კენჭოსნებს: კაცად თქვენ ხართ ცნობილნი ამ ქვეყნად, ქვეყანაში თქვენ გამოდიხართ, ჩვენის ქვეყნის ავ-კარგი თქვენ გეკითხებათ, მამულიან კაცების მოწმობით თქვენა ხართ აღჭურვილნი, ვისაც გინდათ, გააშავებთ, ვისაც გინდათ, გაათეთრებთ და, მაშასადამე, გარდასახადიც მეტი შეიწერეთო. კენჭოსნები ამბობენ: რაკი უპირატესობა და უაღრესობა გვაქვს თქვენზე, გარდასახადის საქმეშიაც უპირველესობა გვერგება და ეს უპირატესობა ის იქნება, რომ ჩვენ ნაკლებს გადავიხდით და თქვენ მეტსაო. რომელი მათგანია მართალი, ღმერთმა გაარჩიოს და გაასამართლოს, ხოლო ის-კი ცხადია, რომ ერთი პირობა არა-კენჭოსნებისა მეტის-მეტად საყურადღებოა. ესენი გაიძახიან: კენჭი მოგვეცით და გარდასახადი, თუ გინდათ, სულ ჩვენ დაგვაკისრეთო. ამას ალბად იმიტომ ამბობენ, რომ კენჭის ფასი იციან.

ასეა თუ ისე, თავად-აზნაურთა ასეთს გამწვავებულს ბრძოლაში იმას ვხედავთ, რომ ორივე მხარე იმათი მოგებულია, რადგანაც გარდასახადი ჯერ კიდევ წინანდელ გაწერის თანხმად იკრიბება, ხოლო ეს გაწერა სულ მთლად სასულიერო წოდების საზარალოდ არის მიმართული. თავად-აზნაურობა ჩვენში, ცოტად არის თუ ბევრად, მიწის პატრონია, მემამულეა, სასულიერო წოდებას-კი მიწისა არა აბადია-რა. ბევრი მათგანი სხვის მიწაზე სახლ-კარობს და ზოგიერთს თუ რამე მოეპოვება, არა უმეტესი ერთისა ან ორის დღიურისა, გარდასახადს-კი მემამულეს თავადის თანაბრად ახდევინებენ.

თუ ამ საქმემ ამ გვარის ხრიკიანის გზით იარა და ბოლო არ მოუძებნეს, თავად-აზნაურობა საჩივარს არ შესწყვეტს ერთმანეთში და ამ ნაირად, აქლემების წაკიდებისა და კოზაკის გასრესისა არ იყოს, სამღვდელოება და სასულიერო წოდება ყველაზე მეტს იზარალებს.

ამ ახლო ხანად მეორმოცეჯერ მოხდება ამ გარდასახადის გაწერა და ვნახოთ, რა გამოვა რისაგან?

კალამი

---

ძოდა წესიერების მოყვარული აღბუღა და, ამიტომაც სასტიკი სასჯელი გაუჩინა მოღალატეს. მაგრამ ეს სასტიკობა მარტო „ჟამთა სიავის“ შედეგი არ ყოფილა—იგი იურიდიულადაც შეეფერებოდა ისეთს მძიმე დანაშაულს, როგორიც ღალატია. რაა ღალატი?—მუხთლად, დაუნდობლად მოკვლაო, განმარტებს ს. ს. ორბელიანი *). ხოლო მუხთლობა, დაუნდობლობა ცალკედაც ავი საქმეა და როცა იგი ემატება მოკვლას, მაშინ ღალატი ორკეც დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, და ამიტომ მოღალატეს სისხლიც ორკეცად უნდა დაეურვა—„ვინც გინდა, დიდმან ანუ მცირემან კაცმან, ღალატით სხვა კაცი მოკლას, ვითარცა გვარისა იყოს კაცი იგი, ორკეცი სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. რჲბ). სისხლს გარდა, წყევა და კრულვა კიდევ სხვა იყო, რომელსაც ვერ ასცდებოდა ისიც-კი, „ვინცა უშველოს და შეიწყნაროს“ მოღალატე. ღალატს აღბუღა ხშირად იხსენიებს. იგი ბოროტება მრავალ გვარი ყოფილა და ზემოდამ ქვემოდ მოდებული ჰქონია საზოგადოებას. ამიტომ საკუთრივ მოხსენებულია ჯერ „ზემოთა“ და მერე „ქვემოთა“ ღალატი. ერთიცა და მეორეც შუქსა ჰფენს იმ დროინდელს ვაგლახს ცხოვრებას და ცხადად გვიხატავს მაშინდელს საზოგადოებურს ურთიერთობას. მაღალ წოდებაში ორ გვარი ღალატი ყოფილა—„თუ მინდობილმან კაცმან დედაწულთა გვერდით ციხესა ანუ ვაკისა საჯდომსა უღალატოსო“, ეს იმას ნიშნავდა, როცა სანდოდ მიჩნეული კაცი ღალატით ციხესა და სახლ-კარს სხვას ვისმე წაართმევდა. ამ გვარი სიავე ხშირად ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში და მეტადრე ციხოსანნი და სხვა ზემოდ მჯდომნი მისდევდნენ ასეთს სათაკილო ვარჯიშობას. სჩანს, არც საათაბაგო ჩამორჩენია ქვეყანას. როგორც ქართლში, ისე იქ მხოლოდ მთავარი გამგეობა ჰლაგმავდა დიდკაცობის ღალატს. ამიტომ აღბუღა ამბობს, როცა მაწყურელმა სცნას იგი ღალატი, ციხე და საჯდომი მემამულეს უკანვე მისცენ, მოღალატემ „ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს“ და წაღებული საქონელიც „შეაქციოს“. ეს ორთა უმთავრესთა სისხლი იმიტომ უნდა დაურვებოდა პატრონს, რომ „ციხისა საქმე საპატიო არის“, ციხოსნობა საპატივცემო ხელობაა და ამ ორში ერთი სისხლი საპატიჟოთ. ხოლო საპატიჟო განსაკუთრებული ჯარიმა იყო. მაგრამ თუ ღალატს ვინმე მტრობის გამო ჩაიდენდა, საპატიჟო საჭირო აღარ იყო და დამნაშავეს მარტო ერთის უთავადესის სისხლი უნდა დაეურვა—„თუ მინდობილმან და მტერმან კაცმან უღალატოს, პატრონსა საპატიჟო აღარა მართებს და ერთის უთავადესის სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. ლდ). ეს სასჯელი გაჩენილი ჰქონდა იმასაც, ვინც თავის ბატონს უღალატებდა (მუხ. რობ). მაგრამ ათაბაგი არ ივიწყებს ღალატსაც, რომელიც „უციხოსა და უსაპატიოს“ წინააღმდეგ მიმართულია. ასეთის დანაშაულისათვის ზედ-დასხმის წესით უნდა გარდახდოდა დამნაშავეს, რომელსაც ორკეცი სისხლი უნდა დაეურვა (შეადარე მუხ. ლდ, იგ). მაგრამ რადა, როცა ციხოსანსა და საპატიოსაც ორის უთავადესის სისხლი ეურვებოდა?—ეს საქმე ადვილად საცნობია. აღბუღა როცა ციხოსანსა და საპატიოზე სწერს, აზრად სამამულო ღალატი აქვს. თუ ღალატს მოკვლაც ემატებოდა, მაშინ ორის უთავადესის სისხლი არა კმაროდა, მოკვლის სისხლი კიდევ სხვა იყო, რადგანაც ღალატით მოკვლა ორკეცი დანაშაული იყო—„რომელმანცა, ვინგინდაგვარმან კაცმან, ხუცესნი, მონოზანნი ანუ დიაკონი მალვით, ღალატით მოკლას... ორკეცი სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. რჲზ). დიაღ, ასე იყო საზოგადოდ, როცა ვინმე დანაშაულის დროს ღალატით ხელმძღვანელობდა.

ეს გარემოება არღვევს ს. ს. ორბელიანის განმარტებას, ვითომ სიტყვა ღალატი მარტო მუხთლად მოკვლას ნიშნავდეს. არა,—ღალატი, მოკვლას გარდა, სხვა დანაშაულშიაც მოიპოვება და ღალატით სხვა-და-სხვა ბოროტების ქმნა შესაძლოა. აქაა მიზეზი, რომ როცა რაიმე დანაშაული ღალატით მოქმედობს, მაშინ დანაშაული უფრო მძიმეა. აღბუღას აზრით, ღალატი თუმცა ცალკე დანაშაულია, მაგრამ დანაშაული კვალიფიკაციასაც შეადგენს, იგი მალვით, დაუნდობლობით, მუხთლობით დანაშაულის ქმნაა, ამიტომ ღალატით დანაშაულის ქმნა ზოგჯერ ორკეც სისხლს სჭარბობს—„თუ კაცმან კაცი ღალატით მოჰკლას, თორმეტი ათასი სისხლსა ემატოსო“ (მუხ. რიე). ეს „სისხლი ემატოს“ საკვალიფიკაციო ჯარიმაა, ისეთივე საპატიჟო, რომელიც ციხოსანს ანუ ვაკისა საჯდომში მყოფს უნდა მიეღო, თუ ვინმე სახლ-კარს წაართმევდა. რა ცალკე დანაშაულია ღალატი?—ამის პასუხს აღბუღა არ იძლევა და მხოლოდ სხვა-და-სხვა აზრით განმარტებს ამ სიტყვას,—ღალატი ძალად მამულის წართმევაც არის, ათაბაგის მიმართ წინააღმდეგობა და ორგულობაც, მოკვლაც და სხ. ცხადია, რომ ღალატად წოდებული დანაშაული არ გამორკვეულა, სრული სახე არ მიუღია. ეს ნაკლი ბევრს სხვა დანაშაულსაც ამჩნევია—ასეთია ხვედრი ყველა ძველის სამართლისა... უკვე შევნიშნეთ, რომ ღალატი დიდი ბოროტება იყო, მაგრამ ღალატის განძრახვას სამართალი მაინც არ სდევნიდა—„თუ კაცი კაცზედ საღალატოდ წავიდეს, თუ მანვე დაშალოს ანუ სხვათა დააშლევინონ, არა ზედაო“ (მუხ. რლდ). საღალატოდ წასვლა ის სიკვდილის ცდა არაა (покушеніе на убійство), რომელსაც სამართალი დანიშაულად სთვლიდა. ცდა სიკვდილისა ბოროტის წადილის განხორციელებაა, ხოლო წასვლა ცალიერს განძრახვას ნიშნავს. აწინდელი სამართალიც განძრახვას დაუსჯელად სტოვებს და ვერც ძალუძს იდუმალის სულის თქმას ხელი შეახოს...

ღალატს გარდა, ორკეცი სისხლი ძმისა და ახლო მეყვისის მოკვლასაც ეწერა—„თუ ძმამან ძმა მოკლას... გინა ახლოს მეყვისი, ორკეცი სისხლი დაუურვოსო“. ღირს შესანიშნავია, რომ ძმისა და მეყვისის მოკვლაზე გავლენა იქონია არიელთა ძველმა ჩვეულებამ. იგი მოკვლა ნაშთია ამ ჩვეულებისა. საზოგადოდ არიელნი და კერძოდ გერმანელები და სლავიანები ამბობდნენ, ძმისა და მეყვისის მკვლელი საზოგადოებასა და გვარეულობას უნდა მოსწყდესო. ფრანგნი ასეთს მკვლელს აბადლებდნენ მგელსა (wargus), რომელიც ტყე-ველად დაწრწყის უმწეოდ [297]). აღბუღაც ამ აზრისაა: ძმისა და ახლო მეყვისის მკვლელი „ამა სოფელს ძლივლა ინახვის“, „აიღოს ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწაო“ (მუხ. კგ). არიელთა ჩვეულებაში აქვს დასაწყისი მამულისაგან განყენებასაც, რომელიც კერძოდ აზნაურს და აზნაურის მკვლელს სასჯელად ჰქონდა გაჩენილი—„თუ აზნაურმან აზნაური მოჰკლას, სამს წელიწადს მამულისაგან გააყენონ... მეოთხესა წელიწადსა შემოუშვან, მამული მისცენ და სისხლი ზღოსო (მუხ. რნა).

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. ლექსიკონი. მაგრამ ს. ს. ორბელიანი სცდება.

[297]) Совр. Об. и Др. Зак. II. 125—7.

# რუსეთი

— შინაურ საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტმა ამას წინად ცირკულიარი გაუგზავნა დამშეულ გუბერნიების უფროსებს გაზაფხულზე მინდვრის სამუშაოებისა და მუშა საქონლის შემცირების თაობაზე. სამინისტროსა ჰსურს, რომ იმ გუბერნიების მცხოვრებნი, სადაც სიმშილი არ არის და მაშასადამე საქონელიც შერჩათ, როცა თავიანთს თესვას მორჩებიან, შემდეგ დამშეულ გუბერნიების გლეხებს დაახმარონ საქონელი ფასით. ცირკულიარი აუწყებს გუბერნატორებს, კარგად გამოიკვლიეთ და გამოიწვრილეთ, თუ ან როგორ უნდა მოხერხდეს და ან რამდენი ფული იქნება საჭირო ამ საქმისათვის. გუბერნატორებმა ეს საგანი სხვათათანა დასწრებით უნდა განიხილონ იმ საბჭოებში, რომელიც დამშეულ ხალხის გამოკვების საზრუნველადაა დაარსებული.

— ბევრჯელ თქმულა და დაწერილა, რომ გერმანელი მოახალშენები რუსეთში და კავკასიაშიაც ადგილობრივს მცხოვრებლებზე უკეთესადა სცხოვრობენო. ამის მიზეზად ყოველთვის იმას ასახელებენ ხოლმე, რომ მოახალშენე გერმანელები უფრო კულტურიანი, წარმატებული ხალხიაო. ესეც ხომ მართალია და მართალი, მაგრამ აი კიდევ რა გარემოებას შეუწყვია ხელი მოახალშენებისათვის. გერმანელთა ახალ-შენები რუსეთში იმპერატრიცა ეკატერინა II დროს დაიწყო. თუ გერმანელი გადმოსახლებას მოინდომებდა რუსეთში, სახელმწიფო ხარჯით მოჰყავდათ. რუსის გლეხები დაბეგრილები იყვნენ და თავიანთის პოვოსკა-დროგებით უნდა მიეყვანათ ადგილას გადმოსახლებული გერმანელი მოახალშენენი. ამასთანავე თავისუფალნი იყვნენ სამხედრო ბეგრისაგან. რუსეთის გლეხები ყმები იყვნენ და გერმანელები-კი თავისუფალნი და თანაც ნაკლებს ხარჯს იხდიდნენ. გერმანელებს საზოგადოება ნებას არ აძლევდა ლოთობისას, ხოლო რუსებისთვის ამისი დამშლელი არავინ იყო. მოახალშენეებს ნება ჰქონდათ და განათლებულს კაცებს ირჩევდნენ საზოგადოების გამგებლებად, ხოლო რუსებში ეს მოუხერხებელი იყო სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო. მაგრამ ყველა ამაზედ უფრო ხელ-შემწყობი გარემოებაი იყო მოახალშენეთათვის, რომ მათთითო კომლზე 60 დესეტინა მიწა დაურიგეს, ხოლო რუსის გლეხებს ათჯერ და თერთმეტჯერ ამაზედ ნაკლები მიეცათ.

ამ გაზაფხულზედ შინაგან საქმეთა სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო აპირობენ ერთად გამოიკვლიონ რუსეთის სასოფლო მრეწველობა. ამ საგნისათვის ორივე სამინისტრო თავის წარმომადგენელთაგან შეადგენს ცალკე კომისიას. ადგილობრივ სასოფლო მრეწველობის გამოკვლევა დაეკისრება ერობათა სამეურნეო საზოგადოებათა და სხვა დაწესებულებათ, რომელთაც კარგად იციან სასოფლო მეურნეობისა საჭიროებანი, ამ გვარად შეკრებილს მასალას შემდეგ ზემოხსენებული კომისია შეიმუშავებს.

— მთავრობას განზრახვა აქვს სანიტარები გაგზავნოს იმ დამშეულს ადგილებში, სადაც გადამდები სენია გავრცელებული. სამკურნალო აკადემიის უკანასკნელ კურსის სტუდენტებს სურვილი განუცხადებიათ, ჩვენ გაგვგზავნეთ მაგ საგნისათვისაო.

# უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის მთავრობამ ახალი სამხედრო პროექტები წარადგინა რეიხსტაგში. ერთი ამ პროექტთაგანი შეეხება იმ საგანს, თუ რა სახით უნდა დაისაჯნენ ჯაშუშნი და სამხედრო საიდუმლოების გამომქვეყნებელნი. შარშან საფრანგეთმაც შეიმუშავა და კანონად შემოიღო ამგვარ დამნაშავეთა სასჯელის პროექტი, მაგრამ გერმანიის პროექტი დიდად განსხვავდება იმ პროექტისაგან და სახელდობრ აი რითი: ჯაშუშობა და სამხედრო საიდუმლოს გამოქვეყნება დიდი დანაშაულია და ყოველთვის სასჯელიც ეკუთვნის. საფრანგეთის კანონიც მხოლოდ ამ დანაშაულსა სჯის, როგორც განზრახ ჩადენილს დანაშაულს. გერმანიის კანონი-კი განზრახვა-განუზრახველობას ყურადღებას არ აქცევს: ახალის პროექტის ძალით, უნდა დაისაჯოს ყოველი ჯაშუში და აგრეთვე გამომქვეყნებელი სამხედრო საიდუმლოებისა, თუნდა უვიცობითაც მოუვიდეს. ერთის შეხედვით ისე გამოდის, ვითომ მხოლოდ სიმკაცრე და სასტიკობაა ეს კანონი და სხვა არაფერიო, მაგრამ თუ კარგად ჩაუფიქრდება კაცი, ადვილად მიჰხვდება, რომ სხვა უფრო საყურადღებო მხარეცა აქვს ამ საგანს. ესეც მხარე ის გახლავთ, რომ გაზეთებს ნება აღარ ექნებათ სამხედრო საქმეების შესახებ სწერონ რამე, რადგან ეს გამოქვეყნებაა საქმისა. საფრანგეთის პალატამ ეხლახან დააკანონა, რომ სამხედრო საქმეები საიდუმლოებად ნუ ჩაითვლება, ყველა კაცსა და ჟურნალ-გაზეთს ნება აქვს იმის შესახებ ილაპარაკოს და თავისი აზრი წარმოსთქვასო. ხოლო ამავე დროს გერმანია ჟურნალ-გაზეთებს კრიჭას უკრავს და უნებლიედს დამნაშავესაც-კი ულვთოდა სჯის.

მეორე პროექტი შეეხება ელზას-ლოტარინგიაში შიშიანობის წესების შემოღებას. პროექტში დაწვრილებითაა განმარტული შიშიანობის წესი, რომელიც მაშინვე უნდა შემოღებულ იქმნას ელზას-ლოტარინგიაში, თუ ან ომი ასტყდა, ან მარტო მოსალოდნელი იქმნა და ან კიდევ არეულობა რამ მოხდა, საზოგადო მყუდროების დამარღვეველი. როცა პირველად შეიერთა გერმანიამ ელზას-ლოტარინგია, მაშინ რომ შემოეღოთ ეს შიშიანობის წესი იმ ქვეყანაში, არავის არ გაუკვირდებოდა ეს ამბავი, მაგრამ ეხლა უკვე ოცი წელიწადია, რაც სამოქალაქო მშვიდობიანი კანონები ჰმოქმედებს, და ასე უეცრად ასეთი ცვლილება სხვა არაფრის ნიშანია, გარდა ომის მოსწავებისა და სიყვარულისა.

# დეპეშა

22 თებერვალი

**ათინა.** პარლამენტის, მოღვაწეთა დიდმა კრებამ გადასწყვიტა, პრეზიდენტს მივანდოთ, რომ მეფეს გამოუცხადოს, ყოველ გვარს დახმარებას აღმოგიჩენთ ყოველ იმ საშიშის შედეგის ასაცილებლად, რაც-კი შესაძლებელია აწინდელს საქმეთა ვითარებას მოჰყვესო.

23 თებერვალი

**პეტერბურგი.** 12—21 თებერვალს განსაკუთრებულს კასსას შეწირულება მიუვიდა 40,000 მანათზედ მეტი. აქედგან 20,000 მ. ინგლის-ამერიკის საეკკლესიო კომიტეტმა შესწირა და 10,000 მან. კამერ-იუნკერმა სტოლპინმა.

„Новое Время"-ს ნამდვილის წყაროდგან შეუტყვია და უარ ჰყოფს, რუსეთის მთავრობას არავითარიმე ბოდიში არ მოუხდია ინგლისის მთავრობის წინაშე იმის გამო, რომ პამირის ექსპედიციის დროს ინგლისელი კაპიტანი იონგხებენდი და პორუჩიკი დევისონი ჩინეთში გაგზავნაო. ბოდიში არა ყოფილა-რა. ამ ორს სახელმწიფოს მეგობრული მოლაპარაკება ჰქონდათ და მშვიდობიანადაც დაამთავრეს. მოლაპარაკება აღმოსავლეთის საზღვრების საგანს არ შეეხებოდა და არც პამირის საქმეზე შეეძლო გავლენა ჰქონოდა. უკანასკნელის საგნის გარდასაწყვეტად სრულიადაც არ განუზრახავთ კონფერენციას მოხდენა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — ,, | 7, 02 | — ,, |
| ტრამოვნის კუპონები | — ,, | 158 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | 1, 16 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | $236^1/_2$ | — ,, | — ,, |
| —მეორისა | $226^1/_4$ | — ,, | — ,, |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | $198^1/_4$ | — ,, | $200^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის" წიგნის მაღაზიაში და „ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში

**წყარო**

ქართულ ენის სახელმძღვანელო მოსამზადებელს კლასებისთვის, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან

ფასი ორი აბაზი

(5—2)

[illegible]!!!
ახალი ოპერეტა-ვოდევილი
როსალ-კონიგ!
ახალი ამბავი!!!
[illegible]
FIN DE SIÈCLE
და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი
ფაბრიკისა
„[illegible]"
[illegible]
მოსკოვში.
(10—3)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა" და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის" მაღაზიაში ახალი წიგნი

**ზადიგი**

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „**ბორკილი**" და ჰღირს 40 კაპ.

**პირველი ზეთის გამოსახდელი ქარხანა ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქალ. ტფილისში.**

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება ნარდად მყიდველთათვის **ზეთები**: ა) საჭმელად: შირბახტისა, სელისა, სოკოსი, კანაფისა, ბ) კანდელისა, გ) მოსარმული, საღებავ წამლებისთვის, აგრეთვე ჩენჩო ძროხებისა და ხარების საკვებად. წვრილ წვრილად შირბახტის ზეთი გირვანქიან და ორ გირვანქიან შუშებით ისყიდება შემდეგს მაღაზიებში: 1) სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, 2) კოვანის მაღაზიებში, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ და ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, 3) ბ. ალიხანოვთან, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ. 4) გ. მირზახანოვთან პუშკინის ქუჩაზე, 5) გრ. ბეჟანოვთან მიხეილის ქუჩა, 6) დ. მაკაროვთან ნიკოლოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, 7) ჯარჯაროვთან, გოლოვინის პროსპექტი, ორბელიანის სახლის პირდაპირ და 8) სარაჯოვთან გოლოვინის პროსპექტი, ბაბანასოვის სახლი. ყოველგვარ ზეთის წვრილ წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარს საწყობებში: 1) იარმუკაზე, ბუღდანოვის სახლში, ყასბების გვერდზე, 2) თათრის მოედანი, ქალაქის ფიცრის ფარდული, 3) ოლგას ქუჩა, მებურნუთოვის სახლი, ქვის ნახშირის საწყობთან და 4) ავლაბრის მოედანი, ქალაქის ფიცრულის ფარდული № 1. (10—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია"**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.
ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და სალამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 24-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.